საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

KA011767150670119

მისამართი: თბილისი 0114 სანაპიროს ქ. #2; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

 # 169440 **17 / მაისი / 2019 წ.**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
საჯარო სამართლის იურიდიული პირი აჭარის სატყეო
სააგენტოს უფროსს თემურ ყურშუბაძეს

ბატონო თემურ,

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში თქვენი მომართვის №09/487 16.05.2019 წ. (სააგენტოში შემოსვლის № 220623/17) განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ელექტრონული საკადასტრო რუკის მონაცემებით განცხადებაზე თანდართულ ნახაზზე წარმოდგენილ ტერიტორიაზე უძრავი ნივთი საკუთრების უფლებით არ არის რეგისტრირებული.

ხოლო თანდართული საკადასტრო აზომვითი ნახაზით წარმოდგენილი უძრავი ნივთის ტყის ფონდში მდებარეობის შესახებ ინფორმაციის გაცემის თაობაზე გაცნობებთ, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ელექტრონული საკადასტრო რუკის მიხედვით, უძრავი ნივთი მოქცეულია „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს N299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებში.

აქვე გაცნობებთ, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 15 იანვრის N4 ბრძანებით დამტკიცებული “საჯარო რეესტრის შესახებ” ინსტრუქციის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად რეგისტრაციის მიზნებისთვის, უძრავი ნივთის დაზუსტებული საკადასტრო მონაცემები ნიშნავს ამ ინსტრუქციისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შედგენილ, საჯარო რეესტრში დაცულ საკადასტრო ინფორმაციას, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემები მიიჩნევა დაუზუსტებლად. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ელექტრონული საკადასტრო რუკის მონაცემები არ იძლევა განცხადებაზე თანდართულ ნახაზზე წარმოდგენილ ტერიტორიაზე დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემების მქონე უფლებარეგისტრირებულ უძრავ ნივთებზე ინფორმაციის სრულყოფილად მოძიების საშუალებას.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,

კადასტრის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

დავით კაპანაძე